სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 92

ქ. გარდაბანი 29.06.2022 წელი

ერთი მხრივ, გარდაბნის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი მერის მოადგილის ვახტანგ გაგუას სახით და მეორე მხრივ შპს „კავკას როუდი“(მის: გლდანი მასივი IV კორ. 109ა ბ.6)) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ჩირგაძეს (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 08 ივნისის #1894 განკარგულების (SMP220001564) და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის #1015 განკარგულების საფუძველზე დებენ გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.
1.6 „მხარე“ - „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.
1.7 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება ფასების ცხრილის და ტექნიკური დავალების შესაბამისად. (CPV71300000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 19860 (ცხრამეტი ათას რვაასსამოცი) ლარს.

3.2. პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე მომსახურების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გადაცემული დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების- 3 % ოდენობით.

3.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.
4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.
4.4 დაფინანსების წყარო: 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.
4.5 შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება, მიმწოდებელს პრეტენზია არ გააჩნია ხელშეკრულების აუთვისებელ ღირებულებასა და მის გადახდაზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს დასრულებული საპროექტო დოკუმენტაცია
5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური.

6.საპროექტო-სახარჯთაღრიცვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღე (2022 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით).

6.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ.გარდაბანი, დ.აღმაშენებლის #127

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის ამოწურვის შემდგომ არ იქნება დასრულებული მომსახურება, ცალმხირვად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში
ბ)სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად, ტექნიკური დავალების, მოქმედი ნორმატიულტექნიკური დოკუმენტების და მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების შესაბამისად.
გ) უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა დამზადებული პროექტ(ებ)ის განხორციელების მშენებლობის პროცესში. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა (საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო ობიექტზე მისვლა და საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება პროექტისა და შესრულებული სამშენებლო სამუშაოების იდენტურობის დასადასტურებლად. მშენებლობის წარმოების დროს გამოკვეთილი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს დამკვეთთან ერთად ობიექტზე მისვლით. ადგილზე შესწავლის შემდეგ საკითხის წამოჭრიდან არანაკლებ 3 (სამი) დღის ვადაში.
დ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური.
8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:
ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმება.
ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური,
რომელიც ყოველი კონკრეტული ობიექტისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების დაწყებიდან ჩაერთვება პროცესში.
8.4 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
9.2 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
9.3 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5% -ის ოდენობით.
9.4 ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.5 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. 9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია

13.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. ფასების ცხრილი, ტექნიკური დავალება და კონკრეტულად გასაწევი მომსახურების ცხრილი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
გარდაბნის მუნიციპალიტეტი მის: ქალაქი გარდაბანი, დ.აღმაშენებლის N127 საიდენტიფიკაციო კოდი: N226573204 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა. მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი:TRESGE22	შპს „კავკას როუდი“ მის: გლდანი მასივი IV კორ. 109ა ბ.6 საინდეფიკაციო კოდი: #400204373 ს.ს. „თიბისი ბანკი” ბ.კ. #TBCBGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: # GE35TB7624336050100002 ტელ: 568-61-02-03

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ---------- ვახტანგ გაგუა	შპს „კავკას როუდი“-ს დირექტორი: ---------- ალექსანდრე ჩირგაძე

Gardabani Municipality Digitally signed by Gardabani Municipality Date: 2022.06.29 16:28:06 +04'00'

Aleksandre Chirgadze Digitally signed by Aleksandre Chirgadze DN: cn=Aleksandre Chirgadze, serialNumber=PNOGE-01001090973, givenName=Aleksandre, sn=Chirgadze, o=Citizen, c=GE Date: 2022.06.29 18:13:34 +04'00'

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.გარდაბანი 29.06.2022 წელი

ქვემოთ ხელის მომწერნი, ხელშეკრულების №92 გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ხელშეკრულების ინსპექტირების წევრები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ---------- ვახტანგ გაგუა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,
მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური ---------- ლევანი ხმალაძე

გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი					
N	მუნიციპალიტეტის დასახელება	სამუშაოების ჩამონათვალი	სამუშაოების საორიენტაციო ჯამური ღირებულება (ლარი)	საპროექტო მომსახურების ღირებულება (ლარი)	საპროექტო მომსახურების პროცენტი
1	გარდაბანი	სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	662 000	19 860	3.00%
საპროექტო ორგანიზაცია შპს "კავკას როუდის" დირექტორი:				ა.ჩირგაძე	

Aleksandre Chirgadze

Digitally signed by Aleksandre Chirgadze
DN: cn=Aleksandre Chirgadze, serialNumber=PNOGE-01001090973, givenName=Aleksandre, sn=Chirgadze, o=Citizen, c=GE
Date: 2022.06.16 11:57:38 +04'00'

დანართი N2

№	მუნიციპალიტეტი	სოფელი	პროექტის დასახელება	პროექტის სავარაუდო ღირებულება	საქართველოს მთავრობის #208 განკარგულებით გამოყოფილი თანხა	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო თანხა
1	2	3	4	5	6	8
1	გარდაბანი	ნორიო	მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა	20000	20000	600
2	გარდაბანი	ზემო ქვიშიანი	სასმელი წყლის რეაბილიტაცია	10000	10000	300
3	გარდაბანი	ქვემო ქვიშიანი	სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	10000	10000	300
4	გარდაბანი	საცხენისი	სკვერის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით	16000	16000	480
5	გარდაბანი	ახალსოფელი	სარეკრეაციო სივრცის და სველი წერტილების მოწყობა	20000	20000	600
6	გარდაბანი	მუხრივანი	სკვერის მოწყობა	12000	12000	360
7	გარდაბანი	აღთაკლია	გარე-განათების მოწყობა	20000	20000	600
8	გარდაბანი	ყარათაკლია	სასმელი წყლის მილის რეაბილიტაცია	20000	20000	600
9	გარდაბანი	ყარაჯალარი	გარე-განათების მოწყობა	20000	20000	600
10	გარდაბანი	გამარჯვება 1	გარე-განათების მოწყობა	12000	12000	360
11	გარდაბანი	გამარჯვება	სტადიონზე გასახდელი ოთახის მოწყობა	20000	20000	600
12	გარდაბანი	ფოლადაანთკარი	სკოლასთან არსებულ მინი-მოედანზე საფარის მოწყობა	16000	16000	480
13	გარდაბანი	ვახტანგისი	სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა	20000	20000	600
14	გარდაბანი	ნაზარლო	გარე-განათების მოწყობა	20000	20000	600
15	გარდაბანი	ქესალო	გარე-განათების მოწყობა	20000	20000	600
16	გარდაბანი	ზემო თელეთი	სკვერის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით	16000	16000	480
17	გარდაბანი	ახალწყალი	სკვერის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით	16000	16000	480
18	გარდაბანი	ქვემო თელეთი	სკვერის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით	16000	16000	480
19	გარდაბანი	წალასკური	სკვერის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით	16000	16000	480
20	გარდაბანი	მუხრანთელეთი	სკვერის მოწყობა საბავშვო ატრაქციონებით	10000	10000	300
21	გარდაბანი	მარტყოფი	ე.წ. "ანიშურის" წყაროს კეთილმოწყობა	20000	20000	600
22	გარდაბანი	საკაძე	საკანალიზაციო მილის რეაბილიტაცია	12000	12000	360
23	გარდაბანი	ვაზიანი	სარეკრეაციო სივრცის მოწყობა	20000	20000	600
24	გარდაბანი	კრწანისი	გარე-განათების მოწყობა	20000	20000	600
25	გარდაბანი	მთისძირი	გარე-განათების მოწყობა	20000	20000	600
26	გარდაბანი	კუმისი	მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა	20000	20000	600
27	გარდაბანი	ახალი კუმისი	გარე-განათების მოწყობა	10000	10000	300
28	გარდაბანი	კალენინო	სასმელი წყლის მილის რეაბილიტაცია	12000	12000	360
29	გარდაბანი	ამბართაფა	სარწყავი არხის რეაბილიტაცია	16000	16000	480
30	გარდაბანი	ახალშენი	სასმელი წყლის მილის რეაბილიტაცია	12000	12000	360
31	გარდაბანი	ბირლიკი	სკვერის მოწყობა	10000	10000	300
32	გარდაბანი	ბოტანიკა	სარწყავი არხის რეაბილიტაცია და არხის სათავეში შლიუზის დამონტაჟება	16000	16000	480
33	გარდაბანი	თაზაქენდი	სარწყავი არხის რეაბილიტაცია	20000	20000	600
34	გარდაბანი	ჯანდარა	ხიდების რეაბილიტაცია	20000	20000	600
35	გარდაბანი	ლემშვენიერა	მე-3 უბანში სკვერის მოწყობა	20000	20000	600
36	გარდაბანი	მზიანეთი	გარე-განათების მოწყობა	12000	12000	360
37	გარდაბანი	ნაგები	მე-6 ქუჩაზე სასმელი წყლის მილის რეაბილიტაცია	12000	12000	360
38	გარდაბანი	ახალი სამგორი	სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	20000	20000	600
39	გარდაბანი	მუღანლო	ქუჩებზე დასახელებების მიმანიშნეველი აბრების შესყიდვა	20000	20000	600
40	გარდაბანი	სართიჭალა	ქუჩებზე დასახელებების მიმანიშნეველი აბრების შესყიდვა	20000	20000	600
				662000	**662000**	**19860**

ტექნიკური დავალება

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

სახელშეკრულებო პროექტების რაოდენობა:40 პროქტი.

შენიშვნა: პროექტების ღირებულება (ცალ-ცალკე) არ უნდა აღემატებოდეს დანართი #2-ში მოცემული სამუშაოების ღირებულებას. პრეტენდენტმა აღნიშნული მომსახურება უნდა დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში.
წარმოდგენილი მომსახურების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სამუშაოების ღირებულების 3%-ს. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტზე პროექტის მომზადება, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა:

1. თავფურცელი – ობიექტის დასახელება და მისამართის;
2. პროექტის შემადგენლობა და ნახაზების უწყისი;
3. განმარტებით ბარათი, ობიექტის კლასის მითითებით, ტექნიკური მაჩვენებლები;
4. ტოპოგრაფიული გეგმა, სიტუაციური გეგმა და აერო ფოტო გადაღება, გენერალური გეგმა;
5. არსებული მდგომარეობის ამსახველი პოტომასალა და საპროექტო წინადადება(რენდერები, ფოტომონტაჟი ზომების დატანვით);
6. არქიტექტურული ნაწილი(სტადია პროექტი, სტადია მუშა ნახაზი, გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების" მოთხოვნებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად
7. არსებული ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დასკვნა - ასეთი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში
8. კონსტრუქციული ნაწილის სა
9. თანადო დეტალიზაცია(მუშა ნახაზი, გეგმები, ჭრილები, დეტალები) საანგარიშო სქემით
10. გეგმები, ჭრილები, დეტალები) საანგარიშო სქემით;
11. სამუშაოთა მოცულობის და მასალების კრებითი უწყისი;
12. სამუშაოთა ორგანიზების პროექტი, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
13. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი, ლოკალური ხარჯთაღრიცხვა, კრებსითი ხარჯთაღრიცხვა) შედგენილი საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად - რესურსური მეთოდით;
14. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის 3 (სამი) ეგზემპლარი (ელექტრონულ ვერსიით PDF; Excel; PLN ან/და DWG); 2 მეხსიერების ბარათი.

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080108901017422

№ 1894

08 / ივნისი / 2022 წ.

ზოგიერთი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ერთობლივი სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 05 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის SMP220001564, SMP220001565 მომართვები სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით ერთობლივი გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, გორის, ხაშურის, ქარელის, კასპის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის, ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, აბაშის, სენაკის, წალენჯიხის, მესტიის, თიანეთის, ყაზბეგის, მცხეთის, დუშეთის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, მარნეულის, დმანისის, ბოლნისის, წალკის, ტყიბულის, საჩხერის, ზესტაფონის, წყალტუბოს, ხონის, სამტრედიის, თერჯოლის, ხარაგაულის, ბაღდათის, ვანის, ჭიათურის მუნიციპალიტეტების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესასყიდი სამშენებლო მასალების, სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ერთობლივი შესყიდვა (CPV-14200000 - ქვიშა და თიხა, 71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, 71300000 - საინჟინრო მომსახურებები, 44900000 - სამშენებლო ქვა, კირქვა, თაბაშირი და ასპიდური ფიქალი, 45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები, 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, 45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები, 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები), ღირებულებით 50416797 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების მიხედვით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, რისთვისაც დასახლებებში იმართება საერთო კრებების სხდომები ან იმართება მოსახლეობასთან კონსულტაციები, სადაც მოქალაქეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას განსახორციელებელი პროექტის შერჩევის თაობაზე.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, აღნიშნული ღონისძიების ჩატარება საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, ვინაიდან პროექტის მასშტაბიდან (პროექტი მოიცავს 54 მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში სამუშაოების განხორციელებას, სამშენებლო მასალების მიწოდებას ან/და საპროექტო მომსახურების

შესყიდვას) და მასში მოსახლეობის მაღალი ჩართულობიდან (გადაწყვეტილებას კონკრეტულ სოფელში განსახორციელებელ სამუშაოსთან, საქონლის მიწოდებას ან/და საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით იღებს უშუალოდ სოფელი სოფლის კრების საშუალებით) გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იქნას მრავალი ფაქტორი. საწყის ეტაპზე ძნელია წინასწარ სრულად განისაზღვროს კონკრეტულ მუნიციპალიტეტს რა რაოდენობის, შინაარსისა და სირთულის სამუშაოების, საქონლის მიწოდება ან/და საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელება მოუწევს მოცემული პროგრამის ფარგლებში. ამასთანავე შერჩევის ეს მეთოდი საჭიროებს საკმაოდ დიდ დროს უშუალოდ პროექტების განხორციელებამდე. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ პროექტის ფორმატიდან (თითოეულ სოფელში საჭიროებიდან გამომდინარე საჭირო გახდება სხვადასხვა სახის სამუშაოების განხორციელება, ხოლო თანადაფინანსების შემთხვევაშიც კი თითოეულ სოფელზე გამოყოფილი თანხა განსაზღვრულია მაქსიმუმ 20000-40000 ლარის ოდენობით) გამომდინარე პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვები არის საკმაოდ მრავალფეროვანი და მოიცავს კლასიფიკატორის რვა კოდს, რაც თითოეული მუნიციპალიტეტისათვის ნიშნავს ათეულობით ელექტრონული ტენდერის განხორციელებას/ორგანიზებას. აღნიშნული კი გამოიწვევს პროექტის განხორციელების ვადების მკვეთრ ზრდას. შესაბამისად დაგეგმილი ღონისძიებების მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით და მათი მაღალ დონეზე შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული ღონისძიებისათვის საჭირო სამშენებლო მასალების, სამუშაოებისა და შესაბამისი მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, გორის, ხაშურის, ქარელის, კასპის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის, ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, აბაშის, სენაკის, წალენჯიხის, მესტიის, თიანეთის, ყაზბეგის, მცხეთის, დუშეთის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, მარნეულის, დმანისის, ბოლნისის, წალკის, ტყიბულის, საჩხერის, ზესტაფონის, წყალტუბოს, ხონის, სამტრედიის, თერჯოლის, ხარაგაულის, ბაღდათის, ვანის, ჭიათურის მუნიციპალიტეტების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესასყიდი სამშენებლო მასალების, სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ერთობლივი შესყიდვა.

ამასთან, აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის, რადგან პროექტის მასშტაბიდან (პროექტი მოიცავს 54 მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში სამუშაოების განხორციელებას, სამშენებლო მასალების მიწოდებას ან/და საპროექტო მომსახურების შესყიდვას) და მასში მოსახლეობის მაღალი ჩართულობიდან (გადაწყვეტილებას კონკრეტულ სოფელში განსახორციელებელ სამუშაოსთან, საქონლის მიწოდებას ან/და საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით იღებს უშუალოდ სოფელი სოფლის კრების საშუალებით) გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იქნას მრავალი ფაქტორი. საწყის ეტაპზე ძნელია წინასწარ სრულად განისაზღვროს კონკრეტულ მუნიციპალიტეტს რა რაოდენობის, შინაარსისა და სირთულის სამუშაოების, საქონლის მიწოდება ან/და საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელება მოუწევს მოცემული პროგრამის ფარგლებში. ამასთანავე შერჩევის ეს მეთოდი საჭიროებს საკმაოდ დიდ დროს უშუალოდ პროექტების განხორციელებამდე. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ პროექტის ფორმატიდან (თითოეულ სოფელში საჭიროებიდან გამომდინარე საჭირო გახდება სხვადასხვა სახის სამუშაოების განხორციელება, ხოლო თანადაფინანსების შემთხვევაშიც კი თითოეულ სოფელზე გამოყოფილი თანხა განსაზღვრულია მაქსიმუმ 20000-40000 ლარის ოდენობით) გამომდინარე პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვები არის საკმაოდ მრავალფეროვანი და მოიცავს კლასიფიკატორის რვა კოდს, რაც თითოეული მუნიციპალიტეტისათვის ნიშნავს ათეულობით ელექტრონული ტენდერის განხორციელებას/ორგანიზებას. აღნიშნული კი გამოიწვევს პროექტის განხორციელების ვადების მკვეთრ ზრდას.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საქონლის, სამუშაოების და მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული

შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნეს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის SMP220001564, SMP220001565 მომართვები, რის გათვალისწინებითაც ერთობლივ შესყიდვაზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1015 2022 წლის 10 ივნისი ქ. თბილისი

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მუნიციპალიტეტებს მიეცეთ თანხმობა, ერთობლივი შესყიდვისა და ამავე პროგრამის ფარგლებში შესასყიდი სამშენებლო მასალების, სამუშაოებისა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა ჯამში არა უმეტეს 50 416 797 ლარის ფარგლებში განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი